10 აპრილი, 1916 წ.

ფასი 12 კაპეიკი.

მჯოლოანი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 1

გამოდის მხოლოდ ერთი ნომერი, რათა გამოცემის უფლება არ დაიკარგოს.

ახალ-მოდის კვერცხები

„ვიზიტები“

არავითარი აღდგომის მზადება არ დამიწყია. არც პასკა, კვერცხები, გოჟი, ბატკანი და არც სხვა რამ ყელის ჩასატკბილებელი არ მოიძეოდა ჩემს ოთახში. ან კი საიდან გავაწყობდი სტოლს ამ სიძვირეში, როცა ჩემს ჯიბეში თაგვებს სიმფონიური კონცერტი გაემართათ და მე კი ლოტბარ პრესმანივით მაზურკას ვთამაშობდი სიცივ-შიმშილისაგან, მაგრამ მაინც მხიარულად შევხვდი აღდგომას. მიხაროდა, რადგან დილით ვიზიტებზედ უნდა ჩამომევლო.

—

ალიონმა მოატანა, ზარებმა დაიწყეს ძინ-ძინი და მეც მოვემზადე სავიზიტოდ: ხელ-პირი დავიბანე, ულვაშები საარშიყოთ შემოვიკნაჭე აბესალომსავით, რომ არ შემცივნოდა — ფეხზე იაპონური ტუფლები ჩავიცვი ხართიშვილივით, თავზედ დავიხვიე რაც ძველი საგები და ზეწარი მქონდა — კოწია თავართქილაძესავით და ის იყო, უნდა გამოვსულიყავ გარედ, რომ კარზედ ორი პოლიციელი მომადგა — ქრისტე აღსდგაო! — მომაძახეს. მე ხმა არ გავეცი, ვიცოდი იმათი მუცლის ტკივილის წამალი რომ არ მქონდა; შეუქანე წარბები როგორც ერასტი გორდელაძემ იცის ხოლმე თანამშრომლებისათვის, როცა „ჰონორარს“ მოსთხოვენ, და არ გასულა წამი, ქუჩაში ამოვყავი თავი. მოხდენილად მივადგამდი ლაჯებს — მიხა გაჩეჩილაძესავით; ჩემთვის რაღაცას ვანგარიშობდი თითებზე და მივლაპარაკობდი — როგორც სოსიკო მერკვილაძემ იცის ხშირად, რომ ამ დროს რაღაც ღრიანცელი მომესმა. ახალგაზრდა ყმაწვილების ჯოგი ლაღიძის ქარხნის კარებთან შეჩერებულიყო და ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდენ — არა მე ვარ უკეთესი არა მეო. დამაღონა ასეთმა სანახაობამ, ვითომც დიდი ჭირისუფალი ვიყავი მათი — იოსებ იმედაშვილისებურად დავიმღლიავე და მეფისტოფელივით წავადექი თავზე:

— ვინა ხართ ხალხნო, ამ აღდგომა დილას რომ ყაყანებთ?!. — შევეკითხე გროვას.

— ჩვენ გახლავართ ქართველი პოეტები, — მიპასუხა ერთმა, — მაგრამ საქმე იმაშია, ვინ უნდა იყოს ჩვენს შორის პოეტების მეფედ. ჩემის აზრით უკეთესი პოეტი ის არის ვინც რამოდენიმე ჰანგზე სწერს ლექსებს. რასაკვირველია, დემოკრატიულ პრესას დემოკრატიული ლექსები უნდა მიაწოდო, მაგრამ ისეთი ლექსიც უნდა დასწერო, შოვინისტურ ჟურნალ-გაზეთებმაც სიამოვნებით მოათავსონ. პოეტი ერთ ჰანგს არ უნდა შეაბერდეს.

— ვერ დაგეთანხმები ამხანაგო, იძახოდა მეორე, — პოეტის მეფედ ის უნდა ჩაითვალოს, ვინც ზეცაში დანავარდობს და ბუნების საიდუმლოებს იკვლევს, მზეს და მთვარეს უგალობს. დედამიწაზედ ბაყაყებიც კი მღერიან, მაგრამ მათ ვინ უგდებს ყურს?!

— რას მიქვია ჰაერში ფრენა, მრავალი ჰანგი, სხვა და სხვა მიმართულება!.. შეედავა მესამე, პოეტების მეფე უნდა იდგეს ერთ ჰანგზე, უნდა უმღერდეს მუდამ მშრომელ ხალხს და რაც უნდა ამაღლდეს, ან დამდაბლდეს ქონებრივათ, მან არ უნდა შესცვალოს ერთი გზა. მაგრამ პოეტს მარტო ლექსების წერა არ ეყოფა, ის უნდა შრომობდეს და არ თაკილობდეს არავითარ სავაჭრო საქმეს. მან უნდა იცოდეს, პოეტობა კუჭს არავის გაუძღებს და არსებობის წყაროთ სხვა ხელობაც უნდა ჰქონდეს პოეტს, რომ მაძღარმა უფრო გააშლევინოს მუზას ფრთები...

— პოეტთა მეფობას ის ვერ დაიჩემებს, ვინც მუდამ ჟამს მშრომელ ხალხს უგალობს, — წარმოსთქვა მეოთხემ, პოეტი უნდა უგალობდეს სამშობლოს და ყოველ ლექსში უნდა მოიხსენიოს საქართველო. ძირს მშრომელი ხალხი, გაუმარჯოს ჩემ კოპწია სამშობლოს.

— რის სამშობლო, რის ჰაერში ფრენა, რის კუჭისთვის ზრუნვა!.. დაიჭექა მეხუთემ, რას არ ხუნებთ თქვე საპოეზიკებო, თქვენ.. ის რა პოეტია თუ ორატორული ნიჭი არა აქვს. ვინც პოეტია და თან ორატორი, თუნდ აფერისტიც იყოს, მაინც პოეტთა მეფედ უნდა ჩაითვალოს. ციც, ყმაწვილებო, ვისთან ჭიმავთ ჭოკს!..

შეიქნა ერთი ჩხუბი და ალიაქოთი!.. მესამეცე პოეტი ავიდა ტრიბუნაზე და ორასამდე „ოჩერედს“ თხოულობდა, რომ თავი მგოსნების მეფედ გამოეცხადებინა. ზოგი იმასაც კი ამბობდა. ნამდვილი მეფობა მხოლოდ იმას ეკუთვნის, ვინც მუ ქალებს ეკურკურება და ყოველ მის ნაკვთებს ლოკავს ვარდისფერ ენითაო!..

მომწყინდა მათი ლაყბობა და ისე მაგრათ გავიქნიე მათრახი რომ, პოეტების არმია მსწრაფლ დაიშალა და სულ ვირთხასავით გარბოდა ქუჩებში. მეც ამეშალა პოეტობის საღერღელი, დაროშვილი სებურათ გავსცინე ერთ ფუტურისტ „მგოსანს“ ხოლო არა თვისი სიტყვებით, არამედ ჩემი საკუთარი ლექსით:

— პოეტები გამრავლდენ,
მაისის სოკოსავით,
ზოგი კნავა კატივით,
ზოგი ბღავა ხბოსავით!
ზოგი ზეცას მიილტვის,
ზოგი ლაფში ვარდება,
ზოგი ვენერას ეტრფის,
ზოგს ევა უყვარდება.
ზოგი კიდევ მათ შორის
მეტის-მეტად ფრანტია,

ზოგი ორატორია,
ზოგიც კომერსანტია!..
ყველაფერი გაძვირდა,
არ არის იეფობა
და მუქთად კი სწადიათ
პოეტების მეფობა!..

—

— კაცო, რა მოგვიდა, რა გაღრიალებს!.. ბუზები ხომ არ გაწუხებს?! ჩამძახა ვიღაცამ ყურში და თვალები ვაჭყიტე. ტახტზე ელენე დარიანისებურათ ვიყავი გადაწოლილი პირაღმა და ჩემი მეგობარი მათრახოსანი მადგა თავზე, ჯერ არც კი გათენებულიყო!..

— აი, გაგიწყრეს ჩემი გამჩენი და გაღრიალოს ეხლანდელ მგოსნებივით დილა-საღამოს. ბუზები კი არა – მუზები მაწუხებს მეგობარო!..

ეშმაკეული.

პატარა ფელეტონი.

ბრძოლის ბიულეტენი.

ბრძოლის ხანაში ვცხოვრობთ მკითხველო,
ყველგან ომია, გარეთ თუ შინა,
მაგრამ ქართველებს ბლომად გვყავს „გმირი“ —
რამ დაგვაღონა, რამ შეგვაშინა!!.
გარეშე მტრები ვერას დაგვაკლებს,
შინაურებმა თუ დაგვაცალა...
ბრძოლის ხანაში ვცხოვრობთ, მკითხველო,
ქართველებსაც გვაქვს ღონე და ძალა.

—

„საქართველოში“ დაჭკრეს საყვირი:
აახმაურეს ნაღარა, ბუკი;
ლაშქარს მოუძღვის ვინმე მხედარი —
შანშიაშვილი, გმირი ჯაბუკი.
შეუპოვარად მიაფრენს „მერანს“,
ტანსა უმშვენებს: ხმალი, აბჯარი,
ამაყად მიდის, რადგან მას უკან
დარაზმული ჰყავს ვაჭართა ჯარი.
„სახალხოელებს“ იწვევს ბრძოლაში,
უნდა გაჩაღდეს ომი, საზარი;
ჩუ, ზარბაზანი გავარდა კიდეც,
მთელმა ქალაქმა იწყო ზანზარი.

—

მოპირდაპირეს დაეცა მეხი,
შეინძრა მთელი მამულიშვილი,
მთავარ-სარდალი ცხენზე შესკუპდა,
ცნობილი გმირი – ჯაჯანაშვილი.
შტაბის უფროსი „სიტყვა“ ბრძანდება,
პლანის ამღები კი – გე-დე-ვალი,
დაუზოგველად იცავენ მამულს,
რომ მოიხადონ სამშობლოს ვალი.
მარჯვნით გაგზავნეს „შიკრიკათ“ სოსო,
მარცხნით მზვერავათ გმირი თევდორე,
რომელიც დადის უგზო-უკვალოდ
და ვერ აჩერებს ღობე და ყორე!..
გაჩაღდა ბრძოლა, შეუპოვარი,
ბრძოლა სასტიკი და ხელ-ჩართული,
გაჩაღდა ბრძოლა არსებობისთვის
ჩვეულებრივი საქმე, ქართული!..
პირველი დაკვრით „სახალხოელებს“
დაუზიანეს მარცხენა ფრონტი,
ტყვედ წაიყვანეს გმირი – ქიქოძე
და მძიმედ დარჭრეს თევდორე ღლონტი;
მაგრამ ჯერ ბრძოლა ისევ გრძელდება,
„საქართველოებს“ სუსტობს სურსათი,
ფინანსიური საქმე აქვთ ცუდათ
და ეს მხარეა სისუსტე მათი.
ვნახოთ დაბოლოს ვინ გაიმარჯვოს,
ვინ მოიხვეჭავს სახელს საგმიროს,
ვნახოთ ბრძოლაში ვინ დაეცემა,
ვინ—ვინ დაჭკოდოს, ვინ—ვინ განგმიროს.

—

ბრძოლის ხანაა, – ფუტურისტებმაც
აახმაურეს ნაღარა, დაფი,
იაშვილია მათი ბელადი—
პირზე რო მოსდის დორბლი და ქაფი!
დარიანი ჰყავთ წამოწოლილი,
სულ გასწყვედიათ მოთმენის ძაფი,
„ცისფერი ყანწით“ უკვე გადაჭკრეს
კახურის ნაცვლად ჭუჭყი და ლაფი!..
სამარცხვინოა მათი „გმირობა“,
გატიტვლებულა მათი საფარი,
ხუთიოდ დგანან „პოზიციაზე“
და თანამგრძნობი აღარსად არი;
მათი ბანაკი ისე სუსტია –
უზარბაზნოთაც, დაანგრევს ქარი,
(უფრო იმათი მკვიდრი სამყოფი
არის გიჟების თავ შესაფარი).

ბრძოლის ხანაა, ჩემო მკითხველო,
ყოველ მხარეში გაჩაღდა ომი,
ჩარჩები ისე შემოგვესია—
როგორც ცხვრის ფარას მგელი და ლომი!

შემთხვევა არის, — ეარჩებით მშვიერები,
ალარც პური გვაქვს და ალარც ღომი!..
ბრძოლა, სასტიკი, — ქვეყნის ჩარჩებთან,
რომ მოვიპოვოთ გამოსაძღომი ..

მათრახსანი.

მესტვირულები.

სადღეისო ღიღინი.

დიდი ხანი არის, რომ
მე არ დამიმღერია,
(სასიმღერო ან რა გვაქვს —
კარზე გვადგას მტერია),
აბა ერთი დავთვალოთ
რამდენი ოხერია:
ბრძენს ის ებატონება,
ვინც გიჟი და შტერია!

—

გუშინდელი ავარა
დღეს კი კამანდერია!
(ილიმება სირმები
რომ გადაუკერია).
დადის ინდაურივით
თავი აუღერია,
(პატრონი რომ ვარგოდეს —
ცემით გასაბერია).

—

გაზეთებში ვერ ნახავ
რაც რომ დასაწერია,
პუბლიცისტი გამხდარა —
გიჟი დასაჭერია!

ხალხს ისინი პატრონობს
ვინც რომ მისი მტერია
და მოკეთე არსად სჩანს —
გადუვლია სერია!..

—

ეხლანდელი ქალები
სწორედ ვერაფერია,
(მათი საქმიანობა
სულ პუდრი და ფერია!)
ისე გამოწყობილან,
როგორც ღამის ფერია,
იმათი ჩაცმულობა
ორმოცდა ათ ფერია!
ხელში რედიკული აქვთ
თავში უფრენს მწყერია,
და საათის ბლარსეტი
წივზედ მოუჭერია!
თმაშიაც გაუყრიათ
რაღაც შანთის ღერია!..
(ოჰ, ქალებო, ქალებო,
თქვენ დაგექცათ კერია)

—

სულის მამებს იკითხავთ?
მოუშვიათ წვერია,
(მათი მუცლის ტკივილი
პასკა — სეფისკვერია.)
დრამა ფულებს ბოჭავენ —
გაატყავეს ერია
და დადიან მგლებივით
მუცელ განაბერია.

—

ყველა სახელმწიფოსა
დავთრები აერია!
მთელი კაცობრიობა
ერთმანეთს დაერია!
ხალხს იმ რიგათ ჟლეტავენ
თითქოს ბუზი, მწერია
და ძლიერმა უღონოს
ადინა მტვერია!
ვინც რომ სუსტი გვეგონა
დღეს ის ღონიერია
და გმირი კი წამხდარა
(სწორეთ გასაშტერია!)

—

დიდი ხანი არის, რომ
მე არ დამიმღერია...
სასიმღერო ან რა გვაქვს
კარზედ გვადგას მტერია.

გურიანთელი

ჩოხატაურისთვის

(უძღ. ნ. ბ—ს ასულს)

ვილაც „ხუსეინ თათარი“
სწერდა „აზრში“ შენზე ნინა,*)
და რომ იგი წავიკითხე
სული ყელში მომებჯინა!
ნუ თუ ქალმა განსწავლულმა,
გავიფიქრე გულსა შინა,—
უღალატა სინდისსა და...
ასეთი რამ ჩაიდინა?!
ერთხანს—კი არ დავიჯერე,
ვსთქვი: სტყუის ის „ხუსეინი“,
მარა როცა ერთმა მღვდელმა
ჩემს იჟვებზე ჩაიცინა...
მითხრა: ნურა გაგაკვირვებს,
მართალია ყველა ესო,
დამიჯერე, თვალით ვნახე,
რასაც „ხუსეინი“ სწერსო!..
რაღას ვიქმნდი! დავრწმუნდი
და, გავიფიქრე ნუ თუ ნინა
გამოცვლილა... აღარ არის,
რაც რომ იყო იგი წინა...
და ის იყო თალხში უნდა
ჩავმჯდარიყავ—მომეწყინა,
მარა ამ დროს ერთი რამე
გამახსენდა—გამეცინა...
„ხუსეინი“ რომ სწერს „გამგეს“...
შენ რომ გამოგექომაგა,
ეს ის ვაჟი იქნებოდა,—
როცა დავაკვირდი კარგა,—
რომელიც, რომ „დროს მიხედვით“
ყველასთან და ყველგან ვარგა...
(ესე იგი წაველას რომ
„პროტესტები“ დაუქარგა...)
და როცა რომ მით ვერ ავნო,
(თუმც 16-ტიც საფრად ჰყავდა...)
ბოლოს ისევ შეურიგდა,
მეგობრადაც გაიხადა!
და წაველამც ხმა გაჰკმიდა,
აღარ დასძრა შემდეგ კრინტი,
მარა ეხლა იმ „თათარმა“
ოზურგეთიდან ჰკრა კვინტი!..

ეჰ, მას ვიცნობთ რაც ვაჟია...
ჩემო კარგო ჩემო ნინა,
მხოლოდ შენზე ნდობის გული
ჩემი უკვე გაიყინა
და არ გითხრა საყვედური,
გულმა აღარ მომითმინა,
შენც და „გამგეც“ ამ საქმისთვის
ორივ ღმერთმა მოგალხინა!..

მარუა

*) იხ. თან. „აზრი“ № 20.

ბრუტიანი მანეთი.

მეგობარმა მითხრა:

— თუ ბრუტიანი მანეთი ჩაგივარდეს ხელში არ დახარჯო.

— კაცო, რას ბოდავ, ბრუტიანი მანეთი რომელია! მანეთიანს თვალები ვინ მისცა რომ ბრუტიანი იყოს?

მეგობარმა გადიხარხარა.

— ბრუტიანი მანეთიანი არ იცი როგორ მანეთიანსა ჰქვიან?

— არა.

— აბა მე გეტყვი. რუსეთის ხაზინაში ყოფილა ცოტა ხნით ერთი კასსირი გვარათ ბრუტი. ქალალდის ზოგიერთ მანეთიანებს აწერია ამ ბრუტის გვარი. ეხლა ასეთ მანეთიანში იძლევიან ექვს აბაზს, შვიდ აბაზს, მანეთ ნახევარს... შეიძლება ისეთი სულელიც შეგვხდეს, რომ ბრუტიან მანეთში ორი მანეთიც შემოგაძლიოს, მაგრამ გირჩევ არ გაყიდო.

— რატომ. რა გახთა ეგ ბრუტიანი მანეთიანი?

— ეს დიდი საიდუმლოებაა ნამდვილათ არავინ იცის. ზოგი ამბობს, ბრუტი ნემეცი იყოო და ეხლა მთავრობასა, სურს ამ ბრუტის სახსენებელი მოსპოსო. ხაზინა აგროვებს ბრუტიან მანეთიანებსა და სწვამსო. ზოგი კიდევ ამბობს, ბრუტმა თავი ჩამოიხრჩო და ამიტომ ბრუტიანი მანეთიანი იღბლიანიაო.

თუ ბრუტიანი მანეთი გაქვს ჯიბეში არაფერი გაგიჭირდება..

ვსთქვათ ბრუტიანი მანეთი გაქვს ჯიბეში თუ გინდ ერთი მილიონი გქონია. მიბძანდი რესტორანში, მიირთვი სადილი, რაც გენებოს, ღომი ხარჩო, ინდოურის საცივი, დოში, ხიზილალა, სუკი, რაც გესიამოვნება, მიირთვი ღვინო კახური, სვირისა, ჩხავერი, ოჯალეში. თუ გინდა სტუმრებიც წაიყვანე თან, მერე ანგარიში მოითხოვე და ის ბრუტიანი მანეთიანი მიეცი დანახარჯში. ბრუტიანი მანეთიანი ისე დაუბრმავებს თვალებს რესტორანის პატრონს, რომ ხუთი თუმანი რომ იყოს დანახარჯი, ხუთ თუმანს კიდევ ხურდას დაგიბრუნებს.

ასე უბრმავებს ყველა ვაჭარს თვალებსა ბრუ-

ტიანი მანეთიანი. და თუ ქალალდისა, ნარდისა, ჭადრაკისა, ლოტოსი ან დომინოს სათამაშოთ დაჯექი, მაშინ ხომ შენ ბედს ძალი არ დაჰყეფს. ბრუტიან მანეთიანის წაგება არ შეიძლება, იმდენ ფულს მოიგებ, რომ საშვილიშვილოთ გეყოფა, თუ არ გაფლანგე და გორგიჯანოვის ქალებს არ შეეჭამე.

გამილიმა ბედმა და ბრუტიანი მანეთიანი ჩამივარდა ხელში. ოცში ჯამაგირი მივიღე და იმ ფულში ბრუტიანი მანეთიანი აღმოჩნდა. სიხარულით ცას დავეწიე. მოუყარე თავი ჩემ ამხანაგებსა და ძმა ბიჭებს და წავიყვანე ქალაქ გარეთ საქეიფოთ.

— აბა, თქვენი სულისა. მიირთვით რაც გნებავთ. სმა ჭამა დიდათ შესარგი, თმენა რა სავარგულია. მოდი ერთი კარგა ვიქეიფოთ ჭია გავახაროთ. (თან გულში ვფიქრობდი: აბა რა მენაღვლება. ბრუტიანი მანეთიანი მაქვს ჯიბეში. იმას დავხარჯავ და ხურდასაც მომართმევენ. მე რასა ვკარგავ, თვალი დაუდგეს რესტორანის პატრონს).

ვიქეიფეთ. სულ „ჰარიარალო“ და „ლოთებო, ნეტავი ჩვენა“ ვიძახეთ.

გასწორების დროც დადგა. გადაუგდე დახლიდარს ბრუტიანი მანეთიანი და ხურდას ველოდები. რის ხურდა, რის ბრუტიანი? ვიდრე ორი თუმანი არ წამართკეს დანახარჯი, ბაღიდგან არ მიშვებდნენ, ბიჭები კეტებით მემუქრებოდნენ. ამხანაგებიც დამემდურნენ: თითო ოროლა მანეთი იმათაც გადიხადეს, და მომაძახეს: შეგირცვა მასპინძლობაო.

ვიფიქრე, აქ თუ არ გასჭრა, კლუბში გასჭრის მეთქი ბრუტიანი მანეთიანი. წავედი და .. კარტშიაც წაეგე, ნარდშიაც და დომინოშიაც. მეორე დღეს აღარც ბრუტიანი მანეთიანი მქონდა ჯიბეში და არც ერთი გროში... თვალი დაუდგეს ვინც ენდო! ბრუტიან მანეთიანს. .

ეშმაკის-ფეხი

პასუხი[1])

სადღა არის ლექსის მადა,
გულს მასვია მე ლახვარი!
სადღა ეპოეო რითმათ წყობა,
როს არ მწყალობს მუზათ ჯარი?!

[1]) რედაქტორს, რომელმაც ამ ნომრისათვის ჩითხოვა მესტვირული ოზურგეთიდგან...

მ. ც—ძე.

დემონივით ამეყუდა
წინ აჩრდილი საზიზღარი
და მან გული დამიკოდა,
დამადინა ცრემლთა ღვარი!..

—

დამავიწყდა ტკბილი სიტყვა,
მეგობართაც-კი სალამი; —
დამავიწყდა ნეტარება,
დამავიწყდა შვების წამი...
მწუხარებას დავეწაფე,
დავიუფლე მე ვარამი;
გულის წიაღს ჩამეწვეთა
გესლით სავსე ნაღველ შხამი!..

—

და რა გითხრა საიმისო,
შენ რომ მთხოვე, შენ რომ გინდა?!
საოცნებო აღმაფრენა
„ცხრა მთას იქით“ გამიფრინდა..
თუ ოდესმე ჩემი გული
გამომთელდა, გაიწმინდა
და ძველებურ ნელ-ტკბილ ხმაზე
იგი კვალად აღიღინდა —

—

სიტყვას გაძლევ საკადრისი
მესტვირული დაგიწერო,
გულის სიმებს ხელი გავკრა,
სანეტაროთ ავაძგერო...
ოზურგეთს გასიჭირი
ზედ ავკინძო, ავაჟღერო...
და მტრის გულის მოსაკვლელად
მეც ვიმღერო, შენც გამღერო!

მ. ცხვარაძე*)

---

*) ჩემო ტურფა ცხვირიანო,
სევდამ კი არ დაგღონოს
გაუმკლავდი ცუდ დროებას,
არ ემზგავსო უძალ-ღონოს.
მე არ მომწონს ის მენავე —
ღელვილ ზღვაში არ გაფონოს;
ვისურვებ რომ ტარტაროზმა
შენი მღერა გამაგონოს

მა—ნი

წამოდგა ზეზედ!!

აღსდგა ჯვარცმული ნაზარეველი,
მსხვერპლი ქვეყნისა, ძე მარიამის;
აწ ქრისტიანნო შვებას მივეცეთ
თუ კი ღირსნი ვართ მის წმინდა გვამის.

როს მაცხოვარი იუდამ გასცა
და მტარვალებთან ის დაასმინა,
რა ჩაიბარა სასყიდლათ ვერცხლი
თითონ მაცხოვარს წარუდგა წინა

ჰკადრა: „მოძღვარო, აწ სად არიან
შენნი ერთგულნი მოწაფეები,
შენთვის სიცოცხლეს რომ არ ზოგავდენ,
იგი მოწყალე ხელმწიფეები?!.

მე იუდა ვარ, მე დაგასმინე,
მე მიგეც მტრებსა საწამებელათ,
რომ საუკუნოთ უკვდავი იყო
და ითვლებოდე ტანჯულთა მხსნელათ.

მე იუდა ვარ, ამიერიდან
უკუნისამდენ შენთან ვიქნები,
შენ აგამაღლებს ვვემით სიკვდილი,
მე კი საკიცხად ხალხს შევექნები“.

და რა იესომ ჯვარცმა მიიღო,
იუდა წამსვე შევიდა ტყეში;
ვერცხლი გასტყორცნა მაბეზღარობის,
ხელი იტაცა თვისსა სარტყელში.

თავისვე სარტყლით თავი დაიხრჩო,
ნახეს ეკიდა დამხრჩვალი ხეზედ...
დღეს კი მის ნაცვლად მრავალი ჯურის
სხვა იუდები წამოდგა ზეზედ!..

—

აღსდგა ჯვარცმული ნაზარეველი,
მსხვერპლი ქვეყნისა, ძე მარიამის;
აწ ქრისტიანნო შვებას მივეცეთ
ჩირქის მცხებელნი მის წმინდა გვამის.

ან. განჯის-კარელი.

ანდერძის წერილი.

(ბრძოლის ველიდან)

დასვიდანია ი პრაშჩაი, მოი დარაგოი, ზალატოი ი სერებრენი მაქთაღ. ტი ბოლში მენე ნი უვიდიშ, მე აბეზატელნათ მოვკვდები, არ უნდა ამას ნატარიუსის დაკაზატელსტვა. ქრისტიანო, ერთი სანტრიმეტრი ადგილი არ არის, რომ რაზნი—რაზნი სისტემის ტყვია-წამალ-ბომბი-ყუმბარ ვზარვაიტს არა შვრებოდეს! აბა, ახლა შენ მიხვდი რაღა, არც ისეთი გლუპი ხარ: თუ კი ყველგან ვზარვაიტი ხდება, რაზუმეიცა მეც მომხვდება! მერე პატარა მაინც ვიყო. ამოტელა ახმახი—ეშაკი ვარ. სხვისი მოსარტყმელი მე მამხვდება, არ უნდა ამას ლაპარაკი. ეჰ, ჯანაბას მოვკვდე, რაც იქნება, იქნება. მე კი არა არწრუნი მოკვდა და მე ვინ ვირის ეშმაკი ვარ, მაგრამ მნე ჟალკა მაქთაღ ადინ. ია ტაკ უმირაიუ, შტო ტვოი ბრილიანტოვი სლოზი ნე ბუდეტ ბადატ ნა მოი ნესჩასნი ლიკო. ახ, ერთი შენი თვალის ქნა მილიონი მიღირს, მაგრამ რა ვქნა, რომ ასე ჩუეოი სტარანაში ვკვდები! ცოდო არ არის, რომ შენ სხვას უშვრებოდე თვალსა და მე კი საიქიოს ჯოჯოხეთის სტაროსტათ მივდიოდე! მაქთაღ, პრაშუ თუ ჩემი ლუბოვნიკი ხარ, რაც უნდა დაგიჯდეს ამ ლემენცებთან არ მიყო პაგრებენია. აქ არ დამარჩინო, მამაჩემ მარტირუზასთან დამმარხე. იმ ცხონებულმა კარგი ლათაიები იცოდა და იმ ქვეყნად ცოტა დარდებს გადამიყრის გულიდან, ხომ იცი მე წინდახედული კაცი ვარ და იმიტომ გწერამ ამ ანდერძს წინ და წინ. რაც უნდა იყოს წინ წაგდებული სჯობია საქმე. შაიძლება გადავრჩე მაგრამ...

აბა რაღა გადამარჩენს,
კაუდი ნიმუტ სიკვდილს ველი,
პრამათ ყურთან მიგრიალებს,
მაუზერკის ლევორველი!
საკირეში ვიწვი, დუშკა,
დავიდაგე კაცი მთელი,
აქეთ რუეო, შაშკუ ხანჯალ,
იქით ბომბა საშინელი!

გაზები უდიშლიტელნი,
კრუგომ კრუპნი ზარბაზნები,
პულემეტრი უთვალავი,
პირდაპირ დასამიზნები.
სიკვდილს პირი დაუღია,
მეძებს მიქელ-გაბრიელი,
აფსუს, როგორ ჩაგვიშხამდა
არშიყობა გემრიელი!

შე შუტნიკო, შეითანო,
შენ მიმყვები გულში დარდათ,
ვიცი ტვოი ჩორნი გლაზა,
ტი დრუგომუ ბუდიშ მარგათ.
მერე შავებს რომ ჩაიცვამ
კუკლასავით გამონჩდები,
ვინ იცის ვის შაიყვარებ
და ან ცოლათ ვის გაჰყვები!

ხოტბი ვიდალ პასლედნი რაზ,
რომ გამეძღო მაინც გული,

აფსუს მიკიჩ, აფსუს ბიკო,
სადა გძვრება ოხრათ სული!

ჩემო კუკლა, ჩემო მაკთალ,
კუდა პაიდოშ, ვის დარჩები,
ვის შასკინებ, მოეხვევი,
ვისთან ადგებ და დაწვები!

აი გიდი ფინთათ ვკვდები.
ბეზ ტვოი სლოზ გენაცვალე.
პრაშუ სრაზუმ არ გათხოვდგ,
გაკიეცა დამიკვალე.

დამიტირე, არ მამაკლო,
არც წანდილი, არც ქუმელა,
მერე რაკ გსურს ისა ქენი
ტი სამ ზნაიშ ტვოი დელა.

ტოლკი, დუშკა, პრაშუ ადინ:
როკა მორჩე ჩემი გლოვნა,
პამეტნიკი გამიკეთე,
ამისრულე, გოგო, თხოვნა.

ზედაც ლექსი დააწერე
გულს რომ მოხვდეს იმისთანა,
პიში: ბედნი მიკიჩ უმერ
დილიოკი ჩუკომ სტრანა.

ზახრაბუსტის მენდალ-ჩინით
კრუგომ გული დაიშვენა,
მაგრამ მოხვდა პულამეტრი,
ფეხი ფშიკა, განისვენა.

დარჩა ობლათ ბედნი მაკთალ,
ესემი ჟენჩინ გლაზ ნა სვეტი,
კრასივი კაკ ანგელ ბოკი,
ნეტნი, კაკ მაისკი ცვეტი.

ჩიტატელო, გეხვეწები,
ჩემი დუშკა შაიბრალე,
და ჰე საწყალ მიკიჩას კი,
შანდობა შამომითვალე.

აბ, მაკთალ, რომ იცოდე სკოლაი სლოზ ია პალივაიუ კადა ეტა პისმო პიშუ. გული, სული, კიშკი-მიშკი-ჯიგარ-ფილტვი და ელენთა სულ ერთმანეთშია არეული, როგორც არისა. ვა შუტკა შტოლი! ტი დრუგომუ ბუდიშ ცალავატ, აბნიმატ, გლაზ დელატ, ა მენე ბედნი მიკიჩუ ჭიანჭველ დოლეინ კუშიტ ნა ზენლია! დასვიდანია, მაკთალ, ბოლში ნი მაგუ, სლოზი დუშუტ, აღარ შამიძლიან. პრაშჩაი, მოი მალადოი ვდავა. პრაშჩაი ია უ.. მ...-ი...რ.. ა...ი ..უ დასვიდანია...

გოგია.



აჰა, პასკა გემრიელი,
უპრავისთვის დანალოცი; —
„ოტორიკეს“ შემოწშებით
„გემოვნება გასაოცი“...

მის ჩუქების ღირსი არის
მთლად სასკოლო კომისია:
იმათაც ხომ შეასრულეს,
თვისი ვალი და მისია!..

გერმანეს თავი ვაკუთვნოთ,
ალმასხანს კი პასკის ტანი;

ლეკურით დავასაჩუქროთ
ამბის გამ'ჯან-გამომტანი*)...
მაგრამ ფრთხილათ! არ გავბრიყვდეთ,
არ შეეეხოთ პასკის ბოლოს;—
ორემ მისმა პატრონებმა
იქნებ ქვითაც კი დაგვქოლოს!

„ეუდირენეკი"

ქუთაისი.

კარიკატურა, რომელიც უნდა დახატულიყო აქ და ვერ იბეჭდება სხვა და სხვა მიზეზის გამო ასეთი შინაარსის იყო: დატვირთულია ვაგონი ფქვილით სავსე ტომრებით, რომელზედაც გადამჯდარია მიხეილ მოშიაშვილი. გვერდზე ქალაქის თავი უდგას ბაირაღით.

ტ.ჭ.ა.

სიმღერა მიხეილ მოშიაშვილისა:

მე ვარ „კაროლი" ფქვილისა,
მე ვარჩენ მთელსა ქუთაის,
მე რომ არ ვყავდე ქალაქსა
მაშინ დამშიოდეს უნდა ის.

ფქვილები „ნარიადებით"
მოდის და მოდის უკლებათ,
ჩუმათ, ნიხრს ზევით თუ ვყიდი
ეს მიმაჩნია უფლებათ.

ვერავინ ვერას დამაკლებს,
აქა მყავს ჩემი ილია,
ის მე მეწევა, მე იმას,
ჩემგნით აქვს ტკბილი ძილია

მაგრამ ამ ბოლოს გამიგეს
სხვა და სხვა „მახინაცია"
და ნამესნიკმა ბიბრძანა—
მიხოი ციმბირს „გნაც"-ია

ჩავარდი სადარდებელში
და ოხრათ მრჩება ფქვილები,
მაგრამ იმედსა არ ვკარგავ
აქ არის ჩემი შვილები.

ამათაც კარგად იციან
მცხოვრებთა ტყივის გაძრობა,
ზოგიერთ „ვაუბატონების"
„ქანძარ-მანქარით" გაძღობა.

პაოოლ.

*) იოცხლეთ, იმას დაშვენდეს
ლეკური ყავკასიური!..
ტანადობა გოჯს მიუგავს,
მახვილი აქვს მხოლოდ ყური!.

მა—ნი

მილოვი და ადელხანოვი.

„არკადიანი".

(მილოვ-ადელხანოვის ამბავი)

დაღვრემილა გრიგორი,
დაღრეჯილა არკადი
და გადმოსდით თვალთაგან
ცხარე ცრემლის ნაკადი.

—

ქურდობა დაუმტკიცეს
და რაკი დაიჭირეს,
ციხისაკენ გაგზავნეს
(თუმცა ბევრი იტირეს),

მაინც არ შეიბრალეს
ჩვენი სოვდაგარები
და საერთო ოთახ'ში ჩაუკეტეს კარები.

არ გავიდა იმათი
არც ზალოგი, არც ქრთამი
და რაც დღემდე მიირთვეს
სუკის მწვადი, ქათამი,

სუყველა წაანკალეს —
შავი პურით, ბორშითა,
ტანზე ქეჩის პიჯაკით,
ფეხზე — სქელი ქოშითა.

—

ეს ამბავი, მკითხველო,
არ გეგონოთ მასხრობა;
მეტის-მეტი სიხარბე
და თან — გაუმაძღრობა,
მდიდარ მილიონებსაც
კი აურევს გონებას,
რომ თავი ანაცვალოს
მის მოგებულ ქონებას!..

—

ერთხელ ჩვენი გრიგორი
ეტყვის თავის არკადის:
ხომ იცი ჩვენს საქმეში
სინდისი რომ არ გადის?!
მოდი გამოვიგონოთ
რამე ჩამოსათალი,
დღეს შიმშილით მოკვდება
კაცი, ალალ-მართალი.
მართალს ამბობ გრიგორი,
აზრი მოსაწონია,
მეც სულ მაგაზე ვფიქრობ
და ვერ მომიგონია.
ერთი აზრი კი თავში
არ მაძლევს მოსვენებას,
ეხლა შენთანაც გავბედავ
მე ამის მოხსენებას:
ამ სალდათს რომ შინელი
ფეხებში ებლანდება,
(სიარულსაც კი უშლის,
გზაში აგვიანდება),
განა არ შეიძლება
მაგის ეკონომია?
(შენ ხომ იცი, გრიგორი!
ეხლა ყველგან ომია!)
შენ გაქვს მათი შეკერვა
იჯარით აღებული
და მე მიკვირს რათა ხარ
აგრე პირ-დაღებული!..
ჩვენ უნდა შევამოკლოთ
ეს გძელი შინელები,
(ვითომ რა საჭიროა
ფეხებამდე გრძელები?)
თუ რომ დამეთანხმები
მაგის დროი დდეს არის,
შენ რას იტყვი გრიგორი?
(ჩემი აზრი ეს არის).
— გენაცვალე სიფათში
ჩემო არკადოსანო,
ვაჭრების უსტაბაშო
და ქალაქის ხმოსანო.
მე კაცი არ მინახავს
შენებრ გოგრის პატრონი,
მილიონებს შევიძენთ,
შევიქნებით ბატონი.

—

მეისრულეს განზრახვა,
მოიპარეს შინელი,
მოეფინა მთელ ქალაქს,
ამბავი საშინელი.
ღღეს კი სოვდაგარები
ციხეში ბრძანდებიან
და ბუმბულის მაგივრათ
გამხმარ ძელზე წვებიან.

—

გრიგორი ასე ამბობს:
— ჩემო კარგო არკადო!
ჩვენი საქმე, ეტყობა,
რომ არ არის გარგადო,
მაგრამ ნუ დაღონდები,
რა გამოვა დარდითო,
(დროება გავატაროთ
შახმატით და ნარდითო)
ოთახი ხომ მუქთი გვაქვს,
სასმელი და საჭმელი,
არც ქვეშსაგები გვინდა,
არც ტანზე ჩასაცმელი.
მოპარული ფულები
აღარ დაგვეხარჯება,
(ეგეც ჩვენი ბედია,
რომ ხელს გვიწყობს განგება).
— რა მომალხენს ამ დღეში,
ჩემო კარგო გრიგორო!
სავარძელში ნაჩვევმა
პოლზე როგორ ვიგორო?!
ოხრათ დამრჩა ოთახი,
ჩემი კედლის ბუხარი,
საყვარელი ცოლ-შვილი
ცრემლებ გადმომქუხარი.
ჩას რა მასმევს, თუ არ მაქვს
ბისკვიტი და სუხარი
და შენ გიკვირს რათა ვარ,
მე ასე გულ-მწუხარი?..

—

დაღვრემილა გრიგორი,
დაღრეჯილა არკადი
და გადმოსდით თვალთაგან
ცხარე ცრემლის ნაკადი.
ციხეში ჩააბრძანეს
ჩვენი სოვდაგარები!
ოხრათ დარჩათ ქონება,
მოპარული ფარები.

ქალაქელი.

გ. გვაზავასებური

(გ. რაბაქიძის ჭანგზე)

ბაგრატის მთაზე მე მხარ თეძოზე
მიწოლილი ვარ „ცის ფერა“ მოლზე.
ყვავი შემოჯდა დიდ სამრეკლოზე.
და ძველ დიდებულ საქართველოზე
დღეს არას ვფიქრობ.—რაა წარსული?
რაღაც ზღაპარი, ტანჯულის სული.
არ ვუგდებ ყურსა რიონის დუდუნს,
წარსულზე მოთქმას, წარსულზე წუწუნს,
ძველი გმირების საგმირო ზღაპარს
და მონასტერებში წმინდა კელაპტარს.
წარსულზე ფიქრო ჩემგან შორს მიდი;
დღეს ჩვენ ბევრი გვყავს რუსთველზე დიდი.

—

ჩვენ გენიოსი გვყავს გვაშტიბელი,
ისეთი ტურფა, ვით დათვის ბელი;
გრიგოლ და კიტა, ტიტე, ლევანი
თაფლის სანთელი, ჩხავრის მტევანი,
ისე ტანადნი, ვით ალვის ხენი,
ჩვენი დიდება და დამამშვენი.
სტკეპნიან ბულვარს დღით და ღამითა,
არა აქვს მოცლა ერთის წამითა.
საქვეყნო საქმეს მედგრათ წინ სწევენ,
სხეულის საფარს ტანზე იხევენ.

—

მე არ მიზიდავს თქმა მათი „თქმისა“,
მე მომწონს ტანი „დარიანისა“.
ტანი წერწეტა, ვით ალვა რგული;
ვნებით აშლილი მხურვალე გული,
ძარღვებში სისხლი აღელვებული,
[illegible]ესვენარი, გახელებული
[illegible]ბივი თვალების გულამდის ატანს,
[illegible]ესურს დავეკონო იმის ლამაზ ტანს.

—

ბაგრატის მთაზე მე მხარ თეძოზე
[illegible]ოწოლილი ვარ „ცის ფერა“ მოლზე.
[illegible]ვალთ დამაფრინდა მე ტკბილი რული,
[illegible]ამომეძინა და სიყვარული
[illegible]ურფა ელენე დარიანისა,
[illegible]ორფა, ტიტველი მისი ტანისა.
[illegible]იზმარში ჩამყვა ვნებიან ქაბუკს
[illegible]ა არ მასვენებს გულ წმინდა ფაფუკს.
[illegible]ზმარში ვხედავ, ოხ რასა ვხედავ
[illegible]ულად იმის თქმას განა გავბედავ?
[illegible]ურცხვე მჭირდეს მე ელენესი,
[illegible]ის თქმა მაინც არ არის ზესი.

—

ვხედავ ქუთაის,—აყვავებულია,
ქუთათურები გატიტვლებულა.
არც ფეხთ-საცმელი, არც ტანთსაფარი,
არც ლამაზ ჭიპის რამ დასაფარი,
სჩანს რომა გასჭრა თქმამ „პირველ თქმისა“,
ეს ნაყოფია სრულიად მისა.
განა ცუდია ეხლანდელ დროში,
როცა ქვეყანა ჩაბმულა ომში
და ყველაფერი ისე გაძვირდა,
ათჯერ მე*ი ღირს წინად რომ ღირდა?..
ტიტლიკანები ურცხვად დადიან,
მკერდს წინ იწევენ, ‘ომებს განზე შლიან.
არცერთს სიწითლეც კი არ ემჩნევა
და მომაგონდა ადამ და ევა.
ამაზე უფრო იყვნენ უწვრთნელი,
რომ აიფარეს ლეღვის ფურცელი?
მათ არ იცოდენ ეკონომია,—
მაშინ სხვა იყო, ეხლა ომია

—

ტკბილი სიზმარი თავს დამფარფატებს,
სისხლსა მიღელვებს, ვნებას მიმატებს.
ავჰყევი ვნებას, მას დავემონე
და მოდის, მოდის ტურფა ელენე.
ისე მოხტუნავს, როგორც მთის შველი,
ვნებით დამწვარი და მთლად შიშველი.
მოვიდა, მკერდზე დიმაწვა ქალი,
ყელს ჩამოშლოდა გიშრის დალალი.
გული ატოკდა, ამიცახცახდა
ეს ყველაფერი სიზმარში ახდა.

—

ტკბილი სიზმარით გამოვითვერი,
გამომეღვიძა, იწოდა შქერი.
წითელი ალი თავს მოდებოდა
და თავსაფარი შამოხეოდა.
თვალს მოვიფშვნიტე, ვაი სიზმარო,
არც თბილი კატა, არც დარიანი,
მარტო ვარ, ვწევარ ბაგრატის მთაზე
თავ მოტვლეპილი, თავ ქარიანი.

ბერი-ქედანი

გამოცანა.

I.

მე ჩემს დღეში არ მინახავს
ამ ნაირი დირექტორი!..
დირექტორობს მაგრამ... არის
„ჩინოვნიკის“ თანასწორი,
დირექტორებს ისე არ ჰგავს
ის წყეული, ოჯახ-ქორი.
როგორც ძვირფასს ბედაურებს
ქეციანი ხუცის ჯორი!..

—

რომ „მობრძანდა“ სწავლის წელი,
გაადიდა და გაჰზარდა...
ჯამაგირი მოიმატა
(რასაც კვრეხავს იმას გარდა)
თვისს საქმეებს და ხალხს შორის,
ჩამოუშვა სქელი ფარდა;
და იმ ფარდის იქით, თვისი
უფლებები, ისე ჰზარდა,
რომ დღეს მისი თვითნებობის,
სრული ჟინი იქ დამყარდა!..

II.

ახალი წლის მერვე რიცხვში,
როს თვით ლხინით მოისვენა,
ჩამოშვებულ ფარდის იქით
ითამაშა ერთი სცენა.
ღარიბ-ლატაკ შეგერდთ ნაწილს
მწარე დილა გაუთენა.
სწავლისათვის რომ მოვიდნენ,
არ ათქმია მათ არც ენა,
და ვით ცხვრები სასაკლაო,
კლასებიდან გამოდენა! .

—

და, უბრძანა თვისს „სტოროჟებს“
გალავნიდან გადადენონ,
ვისაც არ აქვს სწავლის ფული,
ბრძანდებოდნენ,—დაისვენონ
და, რომ იმათ სასწავლებლის
კარებიც კი არ აჩვენონ!..

—

მსახურებმა ეს ბრძანება,
იმ წამშივე შეასრულეს.
თვის და ძალა უნებურად
ჯიუტ -ბატონს“ უერთგულეს...
ამ საწყლებმა იმ ქამობით
შვილებიც კი მოიძულეს,
და უცხო და შინაური
ძალით გამოაკისრულეს!..

—

იმ დღეს მისმა მოქმედებამ
ამ ნაირად ჩაიარა,
მეორე დღეს კი, მშობლებმა,
მისს წინ თავი მოიყარა.
იწყეს თხოვა საშვალების
ბევრმი მუხლიც მოიხარა,
მაგრამ მისს გულს სიბრალული
არას გზით არ მიეკარა!

—

და გოროზად, წარბ-შეუმუხვნით
„კარიდორში“ გამოვიდა.
იმათგანნი იქაც დაჰხვდა,
ვინც, რომ შიგნით ცრემლებს ჰღვრიდა...
ამან ქუდი მოუხადა,
უნდა ეთქვა, რაც რომ სჭირდა,
მან, კი, ხელი აუქნია,
„დრო არ მაქვსო“ აუყვირდა!..
გამგის ამნაირი ქცევა,
მეტის-მეტად გამიკვირდა!
ამ დროს მისი აცხუნება
სწორედ გითხრათ რამედ ჰღირდა!!.

III

რომ არ დასდვან ბრალი აქ ჩემს
შეგნებას ან უმეცრებას,
გადავსჭერ რომ ეს ამბავი
მოვახსენო ეშმაკთ კრებას,
ვიმედოვნებ რომ გამოსთქვამს
თვისს მსჯავრსა და მოსაზრებას
და რამ სახსარს მოუძებნის
„დირექტორი-“ს გააფთრებას
და მით დაჰხსნის ღარიბ მოზარდთ
სირეგვნისგან გაოხრებას...

ნოშრევანიძე

თარგული.

(მიბაძვა. უძღვნი ზოგიერთებს).

კოსტას სიმხთალე მოვპარე,
პარმენას — ფარისევლობა,
ორ სკამზე ჯდომა — კვერნაძეს,
(თანამედროვე ხელობა),
გაიძვერობა — რუხაძეს,
სანიტრათ მდგომიარესა,
ბრმათ დამცველობა — გრიგოლას,
(ვასილზე მგლოვიარესა).
ცვალებადობა-ღალატი —
ფრუიძეს, შესაშურები,
„ჟურნალისტობა“ ვიქტორას,
(თუ „დაწყდენ ბედაურები...“)

„ეფრემს“ — გაფლანგვა, მელენტის —
მუდმივი „ნეიტრალობა“ (?)
ხოლო მიშიკოს უზომო
ტრაბახი, — ჭკუა-მწყრალობა,
მთელი „საუნჯე რჩეულია“,*)
შევკონე თაიგულათა
და შენ მოგიძღვენ, გეკუთვნის,
ნუ გაჯავრდები ტყულათა
ნიშნათ გაკიცხვის, მიიღე,
ქამელეონთა მთავარო!
აგენტურისა მპყრობელო,
პეტრეს დიდებავ “ჯავარო ! **)

ბახ.

სევდიანი სიმღერები:

სიყვარულის მონა-მსხვერპლად ქცეული,
მარტოდ ვდგევარ, უიმედო, მწუხარე,
არ მშორდება თავში ფიქრი წყეული,
და თვალებზედ—ცრემლი გადმომქუხარე,

—

რა შევიგნე ქვეყნის უსამართლობა,
სატრფოს გარდა, არც ზეცა მწამს არც ხატი,
უიმისოდ მე არ ძალ-მიძს გართობა
და გულში მაქვს მუდამ მისი ნახატი.

—

მისი სახე მზესავით შევიყვარე,
სიზმარში მას სულ ვიხუტებ უბეში,
მაგრამ ცხადათ, ახლოს ვერ მოვიკარე
და მიტომაც ვცურავ ცრემლის გუბეში.

—

ამ ბოლო დროს, ის მარიდებს კიდეც თავს,
უნუგეშოდ მტოვებს გულ-დასერილი;
არ ვახსოვარ, არ კითხულობს ჩემს ამბავს,
არც მალირსა სასიამო წერილი.

—

წინად, მუდამ იყო ჩემი ერთგული,
როს ალერსით მომახვევდა ყელზედ კლავს;
ეხლა—რაკი დაიმონა ეს გული,
ღიმილიც კი არ მაღირსა, ისე მკლავს.

—

ამ ქვეყნიურ სიამეს კი იმით სთმობს,
შემდეგ ელის რაღაც ზღაპრულ ცხონებას,
მე ეს არ მწამს, მაგრამ ვხედავ აქვე სპობს
ჩემი გულის საუნჯეს და ქონებას.

—

სატრფოვ, ჩემდა სატანჯველად გაზრდილო,
რით დავიცხრო გულში ცეცხლის ალები!
ვინ მომხედავს სხვა, შენს მიერ განგმირულს,
როდესაც რომ თითონ არ გებრალები?!

—

ვერ ვიშორებ წყეულ სულის სევდებსა
და დავდივარ, აგრე, პირ-ახვეული...
დღეს თუ ვცოცხლობ, მხოლოდ შენზე ოცნებით,
შენ გეკუთვნის ჩემი გულის რვეული.

დარდიანიძე.

საიდუმლო ბარათი*)

(ჩემი ფსევდონიმის ძებნის გამო). თ-რა გ-ვას.

მითხრეს თითქოს დამეძებდეთ
და რა ვეკვრობ რომ მიპოვო,
მისთვის შევთხზე ავგაროზი
რის ტაუებაც უნდა გთხოვო.
რომ ყოველ გვარ მავნეთაგან
ამის ძალამ დაგიფაროს
და თვით ღმერთმაც სიყვარულის
ჩემს გარდა ვერ შეგიყვაროს.
ვნატრობ შენთან ახლოს ყოფნას,
მარა მიჭირს მე გაბედვა
რადგან ჩემს სიცოცხლეთ მიღირს
ერთი შენი შემოხედვა.
ვერცხლის ტალღით მაგ თვალებმა
მე უდროოთ მომიტაცეს
და უგრძნობო უბრძოლველათ
იმავ ტბების ძირში დამცეს,
რომლის ზემოთ ტყე ხშირ მთებათ
შამოგირტყამს ეგ წარგები,

*) გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ ვაცხადებთ, რომ სიტყვები,—„მთელი საუნჯე“ არ ნიშნავს, თითქოს ჩვენ, წინასწარ, ბოროტი განზრახვით მიგვესაკუთრებიოს ყველა ის „მარგალიტები“, რომლებიც ხსენებულ პირთ ამშვენებს,— არამედ შეეხება მხოლოდ იმ „საუნჯეს“, რომელიც ჩვენ უკვე მოვიპოვეთ; მაშასადამე, დანარჩენის ქურდობას, რომელიც მათ მოეპოებათ, ხოლო ჩვენ კი არ შევხებივართ—ვერც დაგვაბრალებენ...

**) ამ ლექსით, თავის დროზე ავტორი მიულოცავს „დამსახურებულ“ იუბილიართ დ. ჭიათურაში.

*) ავტორს ეს ბარათი გაუგზავნია ვიღაც თ-რასათვის, მაგრამ ვიდაც ბოროტმა სულმა ჩვენს რედაქციას ჩაუგდო ხელში.

მა—ნი.

მე მის ჩრდილში ვდგევარ მუდამ
და უენო ცრემლათ ვდნები.
თუმცა სიტყვაც ვერ ვიპოვე
რომ გამოვსთქვა ჩემთვის რა ხარ,
მე მხოლოდ ვგრძნობ, რომ ამ ქვეყნათ
ჩემი სულის „დამოუნა“ ხარ.
უბეში გყავს ჩემი სული,
მე ვაგდივარ მარტო ლეში,
ნუთუ აღარ გებრალებით
ამ უსულო სიცოცხლეში?
ბროლის ხელში რომ გიჭირავს
შავ-ყომრალი „რედიკული“
დამწვარ გულის ბუდეს რომ გავს
იმაში დევს ჩემი გული.
სულთან გულიც რომ წამართვი
მე კი რაღა დამიტოვე?
ან სანაცვლო ყველა ამის
იცი შენგან რა ვითხოვე?
მარტო ის, რომ შემიყვარდე
მხოლოთ ამის მქონდეს ნება,
შენ კი არ გთხოვ შეყვარებას,
ეგ კანონიც არ იქნება.
რადგან ჩემი ღვთაება ხარ
სალოცავი, ჩემი რწმენა,
შენს წინ ლოცვათ დაჩოქებულს
შემიძლია მე მოლხენა—
არა ერთი თვე და წელი,
თუ გსურს თელი საუკუნე,
მე გთხოვ მხოლოთ შებრალებას
მეტს არაფერს დამერწმუნე.
მხოლოთ შენგან შებრალება
მიანიჭებს ჩემს სულს შვებას.
გულს ბუდიდან ამოვარდნილს
ისევ შითვე ყოფნის ნებას.
ვითომ რაა რომ მაკოცხლო?
შენთვის საქებ-საიდებლათ,
ჩემს სულს და გულს მეც ვეახლო
გემსახურო გყავდე მხლებლათ.
ჩემი ტკბილი სამსახურით
რაღა უნდა დავაშავო?!
ამის ღირსიც თუ აღარ ხარ
უბედურო ჩემო თავო!
ციცაბ კლდეზე გადაგჩეხავ
დაე მსხვერპლათ შევეწირო,
რომ მიჯნური ჩემის ცოდვით
ერთხელ მაინც ავატირო.

ბუტუნა.

დეპეშები.

ოზურგეთი. საქალაქო ასპარეზიდან გადაგვეღო ცნობილი მოღვაწე—ხმოსანი ლომინაძე. ის დიდხანს ავადმყოფობდა ტვინის ანთებით, რომელიც მას გაუჩინა ხუსეინაის მიერ მისი მოღვაწეობის განქიქებამ. მას დიდხანს უაქიმა ცნობილმა ქირურგმა გ მუმლაძემ, მაგრამ ვერა უშველა-რა... გამოთხოვების დღეს მეტად შინაარსიანი სიტყვა წარმოსთქვა ხმ. თაყა ქველმოქმედმა...

იქიდანვე. მოახლოვდა ქალაქის რწმუნებულთა არჩევნები... „განახლების ჯგუფი“, რომელსაც ხელმძღვანელობს ცნობილი ბეჟან ხუნდაძე და გ. მუმლაძე, ენერგიულათ მოქმედობს. ამ ჯგუფის სახმოსნო კანდიდატებია: ქუთაისის ქუჩაზე - ივანე კუკულაძე, ივლ. ჯაყელი და ლავრენტი ჯაყელი. ლაშეში გიორგი ციხარიძე, გიორგი მუმლაძე და კოლია შავარდნაძე; ლიხაურის ქუჩაზე—გიორგი ჯინჭარაძე, ვალენტინ დუმბაძე და ნესტორ ელიაძე; კვირიკეთის ქუჩაზე—ბეჟან ხუნდაძე, გიორგი გელცმანი და კირილე კალანდაძე... დანარჩენ კანდიდატებს ჯერ-ჯერობით ცენზი ვერ უშოვეს... ჯგუფმა პირველი საარჩევნო კრება უკვე გამართა, რომელზედაც ხმის უმეტესობით შემუშავებულ იქმნა ზემოაღნიშნული სია. კრებაზე გრძნობიერი სიტყვა წარმოხთქვეს ივანე კუკულაძემ და გ. მუმლაძემ.. ჯგუფის პლატფორმა ჯერ გამომეღავნებული არაა, მაგრამ მოსალოდნელია ამრჩევლების უმეტესობა მაინც თავისკენ გადიბიროს...

იქიდანვე. ბალ-ვეჩერები გახშირდა. განსაკუთრებით ხშირათ იმართება კერძო ოჯახებში. მანდილოსნების მიერ მოდაშია ფრაპი. როცა ქალები თამაშობენ და კავარლებთან თავს იქცევენ, ქმრები ამ დროს აკვანს არწევენ და უდედოთ აწრიალებულ ბავშებს უვლიან ფრაპის „რასპისანიე“ თუ რა დღეს ვისას გაიმართება, გაკრულია მარინე ხელჰკვასას... ამ „რასპისანიეს“ მიხედვით 12 აპრილს გამართავს დიდ „ვეჩერს“ ფრაპით ქ-ნი ლუდუ, საღამოს გამგეთ მიწვეული ყავს ცნობილი პირი.. 14 აპრილს ფრაპს მოაწყობს მარინე, საღამოს მამასახლისად იქნება გარეშე პირი...17 აპრილს გაიმართება გრანდიოზული საღამო კუკუნისას, სტუმრებს მიიღებს არა მასპინძელი კაცი .. აქავე გაიმართება კამათი ელენე დარიანის ლექსების შესახებ... აღნიშნულ „ვეჩერებზე“ დამები კავარლებით მიდიან, ქმრებს არა აქვთ უფლება თავიანთ ცოლებს უკავალრონ. ეს უფლება ჩვენმა ქალებმა დიდი ბრძოლით მოიპოვეს... შემდეგს სხომის გაცნობებთ.

ბზიკაძე.

ორი ეშმაკი.

(ზეიმთურმისათვის)

— სადა ხარ კაცო, ველარსად გნახე,
აქ ათასგვარი მოაწყევეს მახე...
ქარხნები როგორც კი ამუშავდენ,
ბნელი ძალებიც ზე წამოშავდენ!
ყველა ავ-სულობს, ქვემძრომობს, გმინავს,
შენ კი ჩუმათ ხარ და ყურზე გძინავს!!.

— ნუ გიკვირს მაგი, გექნას მოთმენა,
უკეთეს გეტყვი, მომაპყარ სმენა:
ზოგმა მაღაროც აამუშავა,
ქანქარიც ბლომათ დააქუჩავა;
პირობებიც კი დაურღვევიათ,
(თუმცა ეს მაგათ ხშირათ სჩვევიათ...)

— ახ, პირობები? მითხარი ერთი,
ნუ-თუ მაგ-ზომათ გაუწყრათ ღმერთი..
მოსთვალე ყველა. მელა-კუდები,
გაიძვერა და საქმე ცუდები,
თუ ვინ არიან ესე „გმირები
(არა ერთ-გზობის ანაყვირები).

— ჩვენი ილიკო გეცოდინება,
ვინც წინად ხალხის „ძმობა“ ინება,
მასთან ნიკო და დარისპანია
მუშებს ტყავს აძრობს დიდი ხანია.
ორნია კიდევ ცნობილი გვამნი,
გიორგი, ვიქტორ, მათივე „ძმანი“.
გაიძახიან: „გმირნი“ ვართ მძლავრი
(მუშებზე გვსურსო ვიყაროთ ჯავრი ..)

სჩანს რაღა, ომი გამოაცხადეს
რაც მოვიპოვეთ წართმევა სცადეს?
მაშ კარგი, ვნახოთ რაც მოხუცია,
თუ ვინ წააგოს „კონტრიბუცია“.
რომ ავადინოთ ზურგზე მტვერია,
(ჩვენცა გვაქვს მძიმე არტილერია“).
„ცეპელინები“, „ჰაეროპლანი“,
მათრახის კუდი და მისი ჯანი..
„მეომრებიც“ გვყავს უკეთესები,
მხოლოთ სამხედრო გვინდა წესები...)

— გამოვაცხადებთ, იგიც გვექნება:
მათრახოსანის თუ კია ნება
და მოუწოდებთ ჩვენს ჯარებს, რჩეულს,
ჩვენც გავსცემთ პასუხს ტრებს შემოსეულს...

ლაფონ-ტეფოშვილი.

გამოძახილი

მუშაობა, მუშაობა,
ზამთარ-ზაფხულ, დღე და ღამე;
თუ ცხოვრებას თლათ ჩამოვრჩით —
რა სიცოცხლე, რა სიამე!

გაზაფხულდა, ტყე და ველი
გადამწვანდა, აყვავილდა;
სად ხართ ძმებო, მხვნელ-მთესველნო,
სჩანს ყანები გაგვიწბილდა.
ორ წლის მშივრებს თქვენსა ცოლ-შვილს
წელს ვარესი დღე მოელის,
ვახ თუ თქვენ იქ უცხო მტევრში
კერძი ხვდებით ტურა მგელის?!

—

ჩარჩ ვაჭრუკებს დრო დაუდგათ
და დღეს სულ აიგდეს თავი,
შეერთება ხალხნო, თორემ
ლამის ავგძვრეს სული, ტყავი.

ტყის მუშებო გაიღვიძეთ,
რას მოგიტანს დარდი, ხვნეშა,
ამ სვავ ყორნებს ნუ ამდიდრებს
ხეები და ჩვენი შეშა.
მასთან კოოპერატივებს
ვით თვის ოჯახს მოეხმარეთ,
თქვენს საქმეს თქვენ ჩაეჭიდეთ
ჭირისუფლათ შინ და გარეთ.
ნუ უჯერით ცრუ მეტყველებს
გაიძვერა მატყუარებს,
უკუაგდეთ ქელეხები
თორემ მტრები გაიხარებს.
ფოთის ხე-ტყის მექარხნენო,
სინდიკატი რათ შეჰკარით?!
ჩვენი სიმწრით ნამუშევარს
სვავებივით რათ შეხარით?!
თქვენზე რაღაც ეჭვებია
თუ მართალ არს აპოლონო,
გახსოვდესთ რომ ჩვენც ვართ რამე,
ნუ გგონივართ თლათ უღონო
ფოთის მუშებს მინდა გკითხოთ —
თქვენთვის ქრისტე როს აღსდგება!
სულ აფერზედ აღარ ფიქრობთ,
მუშას მაგი ეკადრება?!
ერთმანეთის აღარ გესმით,
აღარც ლხინი, აღარც ჭირი,
ბევრი გაზეთს სულ არ ეძებთ
რა გაქვთ ესდენ გასაჭირი?!

—

მოკრძალებით ქრისტე აღსდგას
მოგილოცავთ ფოთის მამებს,
ტყემალაძე კარგად გყავდესთ
ვინ გაბედავს თქვენთვის რამეს.
ტყეებს წესი ქე ოუგეთ
თუ არ მაგრობს საცოხნელათ,
ნეტავ ხმოსნებს რა გინდოდათ
აფთიაქში მორიგ მცველათ!..

Ə 158 / 1916 / 2

ზოგიც ვარგხართ და გამხნევდით,
არ იოქმება თქვენი ძვირი,
კოოპერატივის მტრებს კი
გადაესხეს თავზედ წვირი.

—

ბუტუნასა მოგილოცავ —
ხოშ-გელდუმ ძმავ, ქრისტე აღსდგა!
აწ ვეთხოვი შენს სამრევლოს,
სხვისთკენ დროი დამეკარგა.

—

ლანჩხუთში ლანის ვესტუმრო —
არ დამრჩეს უმადურათა,
(სიცრუის გუდას, სქელ შუბლას
და „სინდისიანს“ სრულათა).
ხანჭკოლას — მღოლავს კარის-კარ,
კლოუნ-მასხარა, ეულსა,
ამბობენ — ცუღლუტობაში
ხშირათ იჭერენ წყეულსა.
მაგრამ გვერდს უდგას გაზეთი
აღარ მიბეჭვდენ პასუხსა,
(ალბათ ნათლია-შვილობენ
და რომ გამტყუნდეს არ სურსა!)

—

შენც ქრისტე აღსდგა! „მათრახო“,
ჟურნალო მოხუმარეო,
სალამი თანამშრომლებსაც —
იცოცხლეთ, გაიხარეო.
მადლობა, მათრახსანო —
რომ თავი მოგვიყარეო...
მშვიდობით ძმებო, — აწ ერთხანს
ვიქნებით მგლოვიარეო.

შხანკოლა.



ამ სურათისა ახსნასა
მკითველო, არ მეკითხები?
ეს გახლავს — ჰიათურაში
გაუმაძღარი ვირთხები,
რომლებმაც დაუზოგველად
გამოხრეს „ჩვენი ოჯახი“
და დაგვრჩა მხოლოდ კედლები,
გამოცუცქნილი ოთახი!..

წკიპარტი.

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. — სტამბა „შრომა“. რედაქტორ-გამომც. თ. ბოლქვაძე.